საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა
და განვითარების ცენტრი

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება
2017 და 2016 წლის 31 დეკემბრით დასრულებული
წლებისთვის
და
დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა

სარჩევი

	გვერდი
მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა	3
დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა	4
სპეციალურად დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება 2017 და 2016 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლებისთვის	
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	6
საქმიანობის შედეგების ანგარიშგება	7
წმინდა აქტივებში ცვლილებების ანგარიშგება	8
ფუნქციონალური ხარჯების ანგარიშგება	9
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	10
სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები	11 - 22

მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა

თანდართულ ფინანსურ ანგარიშგებაზე პასუხისმგებელია საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი-ს (შემდგომში „ორგანიზაცია“) ხელმძღვანელობა.

ეს პასუხისმგებლობა მოიცავს:

- ფინანსური ანგარიშგების მომზადებას ფინანსური ანგარიშგების საფუძვლების შესაბამისად;
- ფინანსური აღრიცხვის შესაფერისი პოლიტიკების შერჩევას და მათ გამოყენებას;
- დასაბუთებული და წინდახედული სააღრიცხვო შეფასებების გაკეთებას;

მენეჯმენტი აგრეთვე პასუხისმგებელია:

- შექმნას, დანერგოს და შეინარჩუნოს შიდა კონტროლის ეფექტური სისტემა;
- აწარმოოს ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისი სააღრიცხვო ჩანაწერები;
- მიიღოს მისთვის გონივრულობის ფარგლებში ხელმისაწვდომი ყველა ზომა, რომ დაიცვას ორგანიზაციის აქტივები;
- თავიდან აიცილოს და აღმოფხვრას თაღლითობა და სხვა შეუსაბამობები და დარღვევები.

2017 და 2016 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლებისთვის სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია ორგანიზაციის ხელმძღვანელობის მიერ და ხელმოწერილია:

CSRDG
204873618

ეკა ურუშაძე

აღმასრულებელი დირექტორი

სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი

ნათია ქავთარაძე

ფინანსური მენეჯერი

სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი

დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი
დელისის I შესახვევი 5ა
თბილისი, საქართველო

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი-ს (შემდგომში "ორგანიზაცია") სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2017 და 2016 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლებისთვის, აგრეთვე საქმიანობის შედეგების ანგარიშგებას, ფუნქციონალური ხარჯების ანგარიშგებასა და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებას წლებისათვის, რომელიც დასრულდა აღნიშნული თარიღით, აგრეთვე ახსნა-განმარტებით შენიშვნებს, მათ შორის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკებზე.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ორგანიზაციის ფინანსურ მდგომარეობას 2017 და 2016 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლებისათვის, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლებისათვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით და შეესაბამება ფინანსური ანგარიშგების შენიშვნა 2-ში აღწერილ სააღრიცხვო პოლიტიკას.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - *"აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე"* - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ ორგანიზაციისაგან იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისი საფუძველია ჩვენი აუდიტისათვის.

მენეჯმენტისა და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

მენეჯმენტი პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების შენიშვნა 2-ში მოცემული სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას მენეჯმენტს ევალება, შეაფასოს ორგანიზაციის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხები, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მენეჯმენტს განზრახული აქვს ორგანიზაციის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებლები არიან ორგანიზაციის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა *(გაგრძელება)*

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის შესახებ, რომ წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს არსებით უზუსტობას, მათ შორის გამოწვეულს თაღლითობით ან შეცდომით, და გავცეთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებულ ნებისმიერ არსებით უზუსტობას. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა თუკი გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს მომხმარებლის მიერ ფინანსური ანგარიშგების გამოყენების საფუძველზე მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტის პროცესში აუდიტორის მიერ პროფესიული მსჯელობის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და მოვიპოვებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ორგანიზაციის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

- ვაფასებთ მენეჯმენტის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, მენეჯმენტის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.

- დასკვნა გამოგვაქვს მენეჯმენტის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა ორგანიზაციის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ორგანიზაცია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურას, მის შინაარსს და ახსნა-განმარტებითი შენიშვნებს. ამასთან ვაფასებთ, ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციები და მოვლენები უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების სამართლიან წარდგენას.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, სხვასთან ერთად, ვაწვდით ინფორმაციას აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა, ვადების და ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

მიშა აბაიაძე / სერტიფიცირებული აუდიტორი / პარტნიორი

ნოემბერი 08, 2018
თბილისი, საქართველო

Morison Georgia * 206331691 * ამონაბეჭდი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

აქტივები	**შენიშვნები**	**31-დეკ-17**	**31-დეკ-16**
მიმდინარე აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტები	3	894,531	373,051
გადახდილი ავანსები		10,216	5,680
მისაღები გრანტები	4	7,119,806	1,773,201
საგადასახადო აქტივები	5	43,462	25,864
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან		142	-
ქვე-გრანტიორებისთვის გადახდილი ავანსები	6	113,636	145,808
სულ მიმდინარე აქტივები		**8,181,793**	**2,323,604**
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	7	328,742	236,948
სულ გრძელვადიანი აქტივები		**328,742**	**236,948**
სულ აქტივები		**8,510,535**	**2,560,552**
ვალდებულებები და წმინდა აქტივები			
მიმდინარე ვალდებულებები			
ვალდებულებები მიწოდებიდან და მომსახურებიდან		1,632	790
საგადასახადო ვალდებულებები	8	480	441
ავანსად მიღებული გრანტი		5,810	-
გადავადებული საგრანტო შემოსავალი	9	8,213,515	2,286,852
სულ მიმდინარე ვალდებულებები		**8,221,437**	**2,288,083**
წმინდა აქტივები		289,098	272,469
სულ ვალდებულებები და წმინდა აქტივები		**8,510,535**	**2,560,552**

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება თანდართული შენიშვნების ჩათვლით დამტკიცებული და ხელმოწერილია 2018 წლის 08 ნოემბერს:

ეკა ურუშაძე

აღმასრულებელი დირექტორი

სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი

ნათია ქავთარაძე

ფინანსური მენეჯერი

სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი

საქმიანობის შედეგების ანგარიშგება

	შენიშვნა	31-დეკ-2017	31-დეკ-2016
ცვლილებები შეუზღუდავ წმინდა აქტივებში			
შემოსავალი			
ევროკავშირი (EU)		(1,068,026)	(575,910)
პური მსოფლიოსათვის (BFW)		(579,336)	(611,171)
გაეროს განვითarების პროგრამა (UNDP)		(331,696)	(343,131)
არბაითერ - სამარიტერ - ბუნდი საქართველო (ASB - დაფინანსების წყარო ევროკავშირი)		(236,454)	(97,111)
კონრად ადენაუერის ფონდი (KAS - დაფინანსების წყარო BMZ)		(119,726)	-
აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID)		(75,195)	(77,410)
ფიფლ ინ ნიდ (PIN– დაფინანსების წყარო ევროკავშირი)		(50,970)	(82,577)
ელკანა (დაფინანსების წყარო - მსოფლიო ბანკი)		(40,146)	-
ფრიდრიხ ებერტის ფონდი (FES)		(32,014)	(17,688)
გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ფედერალური სამინისტრო (BPB)		(22,557)	(12,446)
ღია საზოგადოება საქართველო (OSGF)		(4,372)	(15,714)
ფონდი ბმვ (BMW)		(3,515)	(543)
ფონდი სიცოცხლის ხე		(2,000)	-
საქართველოს ხელოვნებისა და კულტურის ცენტრი (GACC)		-	(63,140)
ფონდი პონტისი (Pontis)		-	(52,192)
ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი /დღევანდელი სახელწოდება - ევროპის ფონდი (EPF/Europe Foundation))		-	(42,208)
სათემო განვითარების ჟურნალი (CDJ)		-	(7,470)
ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტოების ასოციაცია (ALDA)		-	(5,205)
პრეზიდენტის ფონდი		-	(424)
შემოსავლები ეკონომიკური საქმიანობიდან		(36,237)	(43,191)
შემოსავალი შემოწირულობებიდან		(18,380)	(7,382)
საპროცენტო შემოსავალი		(1,358)	(7,897)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		(740,508)	(239,280)
სულ შემოსავალი		**(3,362,490)**	**(2,302,090)**
ხარჯები			
გაცემული გრანტები	10	566,619	489,801
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები		2,096,249	1,594,441
სხვა არასაოპერაციო ხარჯი		682,994	273,905
სულ ხარჯები		**3,345,862**	**2,358,147**
(ზრდა)/ შემცირება წმინდა აქტივებში		(16,628)	56,057
წმინდა აქტივები წლის დასაწყისში		(272,470)	(328,526)
წმინდა აქტივები წლის ბოლოს		**(289,098)**	**(272,469)**
შეუზღუდავი წმინდა აქტივები		(289,098)	(272,469)
სულ წმინდა აქტივები		**(289,098)**	**(272,469)**

ეკა ურუშაძე

აღმასრულებელი დირექტორი

სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი

ნათია ქავთარაძე

ფინანსური მენეჯერი

სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი

წმინდა აქტივებში ცვლილებების ანგარიშგება

	შეუზღუდავი წმინდა აქტივები	დროებით შეზღუდული წმინდა აქტივები	მუდმივად შეზღუდული წმინდა აქტივები	სულ წმინდა აქტივები
2015 წლის 31 დეკემბრის ნაშთი	**(328,526)**	**-**	**-**	**(328,526)**
გრანტები და შემოწირულობები	(2,302,090)	-	-	**(2,302,090)**
ხარჯების დაფინანსება	2,358,147	-	-	**2,358,147**
2016 წლის 31 დეკემბრის ნაშთი	**(272,469)**	**-**	**-**	**(272,469)**
გრანტები და შემოწირულობები	(3,362,490)	-	-	**(3,362,490)**
ხარჯების დაფინანსება	3,345,862	-	-	**3,345,862**
2017 წლის 31 დეკემბრის ნაშთი	**(289,098)**	**-**	**-**	**(289,098)**

ეკა ურუშაძე

აღმასრულებელი დირექტორი

სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი

ნათია ქავთარაძე

ფინანსური მენეჯერი

სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი

ფუნქციონალური ხარჯების ანგარიშგება

დასახელება	ევროკავშირი (EU)	BFW	UNDP	ASB-EU	KAS - BMZ	USAID	PIN	ელკანა	EBERT	BPB	OSGF	BMW	სიცოცხლის ხე	ეკონომიკურ საქმიანობაზე გაწეული ხარჯი	საკუთარი ფონდები	**სულ ხარჯები 2017**	**სულ ხარჯები 2016**
შრომის ანაზღაურება	397,915	398,512	60,020	105,246	44,442	42,509	20,952	-	-	-	-	-	-	-	8,072	**1,077,668**	**791,344**
გრანტები	298,180	79,179	188,260	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	1,000	**566,619**	**489,801**
შეხვედრების და კომფერენციის ხარჯები	94,512	22,396	35,965	66,197	9,986	6,694	4,244	-	8,911	384	2,545	-	-	6,698	2,505	**261,037**	**221,392**
კონტრაქტით დაქირვებულებზე გაცემული ჰონორარები	65,183	11,039	14,173	37,397	52,103	5,878	19,571	5,000	10,772	9,798	125	3,515	-	9,406	5,323	**249,283**	**233,495**
მივლინების /მგზავრობის ხარჯები	19,839	17,350	6,607	6,267	89	2,522	1,041	597	-	1,860	-	-	-	2,555	10,810	**69,537**	**57,577**
ცვეთა და ამორტიზაცია	30,454	44	2,390	2,360	-	2,276	445	-	-	-	-	-	-	-	12,398	**50,367**	**13,416**
საიჯარო ქირა	24,553	7,906	-	400	-	-	200	-	-	100	-	-	-	600	-	**33,759**	**8,286**
ოფისის ხარჯები (კომუნიკაციის, კომუნალურები)	10,928	1,735	4,130	3,071	15	2,021	602	-	-	-	-	-	-	-	-	**22,502**	**18,188**
დაზღვევის ხარჯები	3,851	1,410	-	119	-	200	-	-	-	-	-	-	-	-	13,750	**19,330**	**15,906**
ლაბორატორული მომსახურების და ექსპერტიზის ხარჯები	6,167	9,496	-	14	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	617	**16,294**	**43,048**
საბანკო ხარჯი	1,574	759	162	164	316	116	61	41	-	2	1	-	-	40	295	**3,531**	**3,610**
კომპიუტერის ხარჯები	1,670	-	-	99	-	125	85	-	-	-	-	-	-	-	-	**1,979**	**7,504**
სხვა ხარჯები	113,200	29,510	19,989	15,120	12,775	12,854	3,769	34,508	12,331	10,413	1,702	-	2,000	1,039	21,752	**290,962**	**180,676**
სულ ხარჯები	**1,068,026**	**579,336**	**331,696**	**236,454**	**119,726**	**75,195**	**50,970**	**40,146**	**32,014**	**22,557**	**4,372**	**3,515**	**2,000**	**20,338**	**76,524**	**2,662,868**	**2,084,242**

ეკა ურუშაძე

აღმასრულებელი დირექტორი

სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი

ნათია ქავთარაძე

ფინანსური მენეჯერი

სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

	31-დეკ-2017	31-დეკ-2016
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		
საგრანტო დაფინანსებით მიღებული ფულადი სახსრები	3,141,491	1,869,035
ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები	49,077	50,990
მიღებული შემოწირულობა	17,700	7,382
დაქირავებულებზე გაცემული ჰონორარები	(202,140)	(180,680)
ქვეგრანტორებზე გაცემული გრანტები	(558,534)	(623,501)
გაწეული მომსახურებისთვის და შეძენილი საქონლისთვის გაცემული ფულადი სახსრები	(304,171)	(273,772)
გადახდილი გადასახადები	(285,910)	(224,201)
თანამშრომლებზე გაცემული ფულადი სახსრები	(850,833)	(626,225)
ოფისის ხარჯებისთვის გაწეული ფულადი სახსრები	(9,836)	(6,571)
სამსახურეობრივი მივლინების ხარჯებისთვის გაწეული ფულადი სახსრები	(47,297)	(35,755)
კომუნიკაციის ხარჯები	(10,299)	(8,195)
საბანკო ხარჯი	(3,530)	(3,590)
სხვა ხარჯები	(373,305)	(243,387)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	**562,413**	**(298,470)**
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(98,116)	(54,190)
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	**(98,116)**	**(54,190)**
ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან		
მიღებული საპროცენტო შემოსავლები	1,358	7,897
წმინდა ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	**1,359**	**7,898**
ფულადი სახსრების და მათი ექვივალენდების წმინდა ზრდა	**465,656**	**(344,763)**
კონვერტაციით მიღებული საკურსო მოგება/ზარალი	(49,862)	(37,729)
კურსთაშორისი სხვაობიდან მიღებული მოგება/ზარალი	105,687	25,514
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენდები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	**373,051**	**730,029**
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტებისაანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის	**894,531**	**373,051**

ეკა ურუშაძე

აღმასრულებელი დირექტორი

სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი

ნათია ქავთარაძე

ფინანსური მენეჯერი

სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

შენიშვნა 1: ორგანიზაციის შესახებ

,,საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი" (სსკგც) არის დამოუკიდებელი, არაპოლიტიკური, არაკომერციული, არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც დაარსდა 1995 წლის ივლისში. ორგანიზაცია ეფექტურად მუშაობს და დიდ როლს თამაშობს ქვეყნაში ისეთი მნიშვნელოვანი სფეროების განვითარებაში, როგორიცაა სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური გარემო, გარემოს დაცვა, დეცენტრალიზაცია, სამომხმარებლო უფლებების დაცვა, კორპორატიულ-სოციალური პასუხისმგებლობა და სამოქალაქო სექტორის განვითარება.

წლების განმავლობაში, ცენტრი ჩამოყალიბდა როგორც ძლიერი კვლევისა და ექსპერტული ინსტიტუტი, სანდო პარტნიორი, განვითარებაზე ორიენტირებული ორგანიზაცია.

საქართველოს სტრატეგიული კვლევისა და განვითარების ცენტრი ხელს უწყობს ქვეყანაში სამოქალაქო საზოგადოების აღმშენებლობას. ამისათვის ორგანიზაცია ახალისებს ადგილობრივ მოსახლეობას რომ იყვნენ ჩართულები გადაწყვეტილებების მიღების პროცესებში, დაიცვან თავიანთი ინტერესები, ასევე მხარი დაუჭირონ სამოქალაქო ინიციატივებს და ასევე ორგანიზაცია ახორციელებს პრაქტიკაზე ორიენტირებულ კვლევებს.

სსკგც-ს მისიას წარმოადგენს სამოქალაქო საზოგადოების აღმშენებლობა სახელმწიფოსა და საზოგადოებას შორის ორმხრივი დიალოგის დამყარების გზით.

მისიის შესასრულებლად, ცენტრს აქვს ქვეყნის მოსახლეობასთან, სახელმწიფო და კერძო სექტორთან მიმართებით 3 გრძელვადიანი მიზანი:

- სსკგც მუშაობს საზოგადოების ცნობიერების ამაღლებაზე, მათ ჩართვაზე გადაწყვეტილების მიღების პროცესებში და ეხმარება მათ თავიანთი უფლებების დაცვაში.

- სახელმწიფოსთან მიმართებაში, ცენტრის მიზანს წარმოადგენს სახელმწიფოს მიერ ეფექტური სტრუქტურული რეფორმების შემუშავება და განხორციელება, რომელშიც აქტიურად იქნება ჩართული საზოგადოება.

- კერძო სექტორთან მიმართებაში, ცენტრის მიზანია ბიზნეს სექტორი აქტიურად ჩართოს მდგრადი განვითარების პროცესებში მათი ბიზნეს პასუხისმგებლობით წარმოჩენით და მრავალსექტორული ურთიერთობების განვითარებით.

სამწლიანი პროგრამა (2014-2016) მოიცავს 3 ქვეკომპონენტს: სამოქალაქო ორგანიზაციების გაძლიერება, კარგი მმართველობის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა და სახელმწიყო პოლიტიკის შექმნაზე ზეგავლენა.

სამოქალაქო ორგანიზაციების გაძლიერების პროგრამა მათი მდგრადი ოპერაციების უზრუნველყოფისთვის მიზნად ისახავს ადგილობრივი CSO-ების (მათ შორის, სათემო დონის საზოგადოებრივი ორგანიზაციების) გაძლიერებასა და განვითარებას, მათი მიზნობრივი ჯგუფების რეალური საჭიროებების გამოვლენას და წარმოდგენას. ხოლო მეორე მიმართულება ითვალისწინებს სხვადასხვა სოციალურად დაუცველ ჯგუფებთან მომუშავე კონკრეტულ CSO-ების გაძლიერებას და მათ დახმარებას სოციალურ საწარმოებად ჩამოყალიბებაში, იმისათვის რომ მათ უფრო ეფექტურად მიმართონ თავიანთი მიზნობრივი ჯგუფების სოციალური და ეკონომიკური პრობლემები.

საზოგადოების განვითარებისადმი CSRDG-ს მიდგომა ეფუძნება მონაწილეობითი პროცესის ხელშეწყობას, რომელიც ითვალისწინებს ადგილობრივი დაინტერესებული მხარეების აქტიურ მონაწილეობასა და თანამშრომლობას ადგილობრივი განვითარების პროცესებში. ამ კომპონენტის ფარგლებში CSRDG ყურადღებას ამახვილებს სათემო ცენტრების შესაძლებლობების განმტკიცებაზე, საზოგადოების განვითარების პროცესში ახალგაზრდა ლიდერების უფრო აქტიური მონაწილეობის უზრუნველსაყოფად, რაც ასევე ეფუძნებოდა მონაწილეობითი პროცესის მდგრადობას. რაც შეეხება სოციალური მეწარმეობის ხელშეწყობას, 2014-2016 წლებში ქვეყანაში დაგროვილი გამოცდილების, ასევე არსებული გარემო და პოლიტიკური პროცესების გათვალისწინებით, CSRDG ძალისხმევას მიმართავს და ყურადღებას გაამახვილებს სამუშაო ინტეგრაციის სოციალური საწარმოების ხელშეწყობაზე, რომლებიც წარმოადგენენ დასაქმების ეფექტურ ინსტრუმენტს და სხვადასხვა სოციალურად დაუცველი ჯგუფების სოციალური და ეკონომიკური ინტეგრაციის საშუალებას.

შენიშვნა 1: ორგანიზაციის შესახებ *(გაგრძელება)*

კარგი მმართველობის ხელშეწყობის პროგრამა გულისხმობს თვითმმართველი ერთეულების ინსტიტუციურ განვითარებას კონსტრუქციული მონიტორინგის გზით. ქვეპროგრამის განხორციელებისათვის გათვალისწინებული ძირითადი სტრატეგიული მიდგომაა: ადგილობრივი ხელისუფლების ანგარიშვალდებულების და გამჭვირვალობის მონიტორინგი; ბიუჯეტირების პროცედურების მონიტორინგი და სამიზნე LG-ის პროგრამები; ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართვა ბიუჯეტის მონიტორინგის პროცესში; მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი პრობლემების აღმოფხვრის მიზნით ადგილობრივი ხელისუფლების შესაძლებლობების განვითარება და რეკომენდაციების უზრუნველყოფა.

ამ ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელებული აქტივობები ხორციელდება CSRDG-ის მიერ რეგიონული არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ადგილობრივი სამიზნე სოფლების CBO-ებთან თანამშრომლობით. ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების (არასამთავრობო და CBO-ის) საპროგრამო აქტივობებში ჩართვას რამდენიმე პოზიტიური შედეგი აქვს: პროგრამის ეფექტურობის გაზრდის გარდა, ასევე ხელს უწყობს ადგილობრივ სამოქალაქო ორგანიზაციებსა და ადგილობრივ თვითმმართველობებს შორის კომუნიკაციის ჩამოყალიბებას და ადგილობრივი პრობლემების მოგვარების მიზნით დაკავშირებული სექტორების თანამშრომლობას, რაც ხელს შეუწყობს პროგრამით მიღებული შედეგების მდგრადობას.

პოლიტიკის დიალოგის პროგრამა ეროვნულ დონეზე - პროგრამა მიზნად ისახავს პოლიტიკური დიალოგის განვითარებას შემდეგ სფეროებში: დეცენტრალიზაცია; გამოწვევები და შესაძლებლობები სამუშაო ინტეგრაციის სოციალური საწარმოების განვითარებისთვის; ადგილობრივი ინიციატივებისა და საზოგადოების ჯგუფების მხარდასაჭერად მეგობრული გარემოს შექმნის განვითარების შესაძლებლობები; სამომხმარებლო უფლებები; ნარჩენების მართვა. პოლიტიკის საკითხებზე ადვოკატირების კამპანია (აქტუალური პრობლემები) ქმნის CSRDG-ის მიდგომის საფუძველს. იგი მოიცავს ისეთ საქმიანობას, როგორიცაა: CSRDG-ის ექსპერტებისა და მოწვეული კონსულტანტების მიერ სხვადასხვა სექტორთან დაკავშირებული ყველაზე მწვავე საკითხებზე საცდელი კვლევის ჩატარება და ანალიზი; დარგობრივი კვლევებისა და ანალიზის შედეგებზე დაყრდნობით, პოლიტიკის საკითხების ადვოკატირება, ძირითადი დაინტერესებული მხარისათვის რეკომენდაციის შემუშავება, წარმოებული რეკომენდაციების ლობირება და ასევე რეკომენდაციების განხორციელების / ინსტიტუციონალიზაციის მონიტორინგი; საჯარო დისკუსიების ინიცირება კონსულტაციების, სემინარებისა და საკომუნიკაციო კამპანიების მეშვეობით დაინტერესებულ მხარეებსა და მოსახლეობის კონკრეტულ ჯგუფებს შორის;

პროგრამის მიზნების მისაღწევად ორგანიზაციამ ჩამოაყალიბა საქმიანობის განხორციელების სხვადასხვა სტრატეგიები:

- ადვოკატირების კამპანია სახელმწიფო პოლიტიკის პრიორიტეტულ საკითხებზე;
- საზოგადოების წინაშე არსებული პრობლემების / საკითხების შესახებ გადაწყვეტილების მიმღები პირების ინფორმირება;
- აქტივობების ეფექტურობის გაზრდის ხელშეწყობა ერთობლივი და ქსელური მუშაობის ხელშეწყობით;
- მთავრობის პროგრამებისა და რეფორმების განხორციელების მონიტორინგი;
- სამიზნე მუნიციპალიტეტების საქმიანობის მონიტორინგი და გაზრდილი პასუხისმგებლობის სტიმულირება;
- საზოგადოებრივი / სოფლის განვითარება;
- ეროვნულ და ადგილობრივ დონეზე არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის ტექნიკური დახმარების გაწევა (კონსულტაციები და ტრენინგი);
- სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ხელშეწყობა ხელსაყრელი გარემოს შექმნით;

ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის პოპულარიზაცია და მისი განვითარებისათვის ხელსაყრელი სახელმწიფო პოლიტიკის შექმნაში მონაწილეობის მიღება.

2016 წლის 01 თებერვალს ევროკომისიამ CSRDG-ს გადასცა გრანტი 600,000 ევროს ოდენობით პროექტის ,,სოციალური მეწარმეობა-ინოვაციური მიდგომა ეკონომიკური და სოციალური ცვლილებებისთვის" განსახორციელებლად. მთლიანი გრანტის ბიუჯეტი შეადგენდა 697,201 ევროს, ხოლო გრანტის ხანგრძლივობაა 36 თვე 2016 წლის 01 თებერვლიდან 2019 წლის 31 იანვრამდე. (EU)

2017 წლის 31 იანვარს CSRDG-მ და KAS (EU)-მ გააფორმეს საგრანტო ხელშეკრულება პროექტზე "საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ინიციატივა" განსახორციელებლად 1,087,393 ევროს საგრანტო თანხის ოდენობით. გრანტის ხანგრძლივობაა 2017 წლის 16 იანვრიდან 2020 წლის 01 ოქტომბრამდე. (დაფ. წყარო ევროკავშირი (KAS EU))

2014 წლის 21 ოქტომბერს საგრანტო ხელშეკრულება ევროკომისიასა და CSRDG-ს შორის გაფორმდა პროექტის „ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ზეგავლენა ქართველ მომხმარებლებზე და მათი ცნობიერების ამაღლება" განსახორციელებლად. საგრანტო პერიოდს წარმოადგენს 2014 წლის 01 დეკემბრიდან 2018 წლის 31 მაისამდე. საგრანტო თანხა შეადგენს 260,609 ევროს. (EU)

2017 წლის 03 ივლისს ხელი მოეწერა საგრანტო ხელშეკრულებას CSRDG-სა და CENN-ს შორის, პროექტის „ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი რესურსებისა და პოტენციალის ოპტიმალური გამოყენება სოფლის განვითარებისათვის" განსახორციელებლად. გრანტის განხორციელების პერიოდია 2017 წლის 03 ივლისიდან 2021 წლის 28 თებერვლამდე. მთლიანი საგრანტო თანხა შეადგენს 112,600 ევროს. (დაფ. წყარო ევროკავშირი (CENN-EU))

2017 წლის 28 თებერვალს CSRDG-სა და BFW-ს შორის გაფორმდა საგრანტო ხელშეკრულება პროექტის "სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის ხელშეწყობა, ადგილობრივი თანამშრომლობის განსაზღვრა და პოლიტიკური გავლენა, გაგრძელება. ძირითადი პროგრამა 2017-2020" განსახორციელებლად. სრული საგრანტო თანხა შეადგენს 1,232,400 ევროს, ხოლო გრანტის ხანგრძლივობაა 2017 წლის 01 იანვრიდან 2020 წლის 30 ივნისამდე. (BFW)

2013 წლის 28 დეკემბერს პური მსოფლიოსთვის (BFW) და სსკგც-ს შორის გაფორმდა ხელშეკრულება 3 წლიანი პროექტის „სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერება (2014-2016)" განხორციელებისათვის. პროექტის განხორციელების პერიოდს წარმოადგენს 01 იანვარი, 2014 - დეკემბერი 31, 2016. პროექტს 3 ძირითადი მიზანი გააჩნია: სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერება, მუნიციპალიტეტების გამჭირვალე ბიუჯეტირება და პოლიტიკური დიალოგი ეროვნულ დონეზე. პროექტის მთლიანი ბიუჯეტირებული დანახარჯები შეადგენს 1,045,000 ევროს. (მათ შორის: პროექტის პარტნიორის სსკგც-ის საკუთარი შენატანი 10,000 ევრო; სხვა დამფინანსებელი ორგანიზაციებიდან კონტრიბუცია 375,000 ევრო და დონორის მიერ შეტანილი კონტრიბუცია 660,000 ევრო რომელიც წარმოადგენს მთლიანი ბიუჯეტირებული დანახარჯების 63.26%-ს). (BFW)

2016 წლის 17 ნოემბერს CSRDG-მ გააფორმა საგრანტო ხელშეკრულება UNDP-ს პროექტის "ქალთა გაძლიერება ცვლილებისათვის" (CSRDG-ს პროგრამის გაგრძელება) განსახორციელებლად. საგრანტო თანხა შეადგენს 101, 058 აშშ დოლარს. (UNDP)

2017 წლის 01 ოქტომბერს CSRDG-სა და UN-GEF-ს შორის გაფორმდა საგრანტო ხელშეკრულება პროექტის "ორგანული ნარჩენის წვის ალტერნატიული მეთოდების დანერგვა, მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენის ხელმეორედ გამოყენების და გადამუშავების გზით" განსახორციელებლად. მთლიანი საგრანტო თანხა შეადგენს 30,000 აშშ დოლარს. პროექტის ხანგრძლივობაა 2017 წლის 01 ოქტომბრიდან 2019 წლის 30 სექტემბრამდე. (UN-GEF)

2015 წლის 18 დეკემბერს UNDP-სა და CSRDG-ს შორის გაფორმდა საგრანტო ხელშეკრულება 130,000 აშშ დოლარის ოდენობით პროექტის ,,გენდერული თანასწორობის ხელშეწყობისათვის საქართველოში" განსახორციელებლად. საგრანტო პერიოდია 2015 წლის 16 დეკემბრიდან 2016 წლის 20 სექტემბრამდე. (UNDP)

2015 წლის 23 იანვარს UNDP-მ გადასცა გრანტი 49,920 აშშ დოლარის ოდენობით, პროექტ ,,ნარჩენების მართვის სათემო საკითხების ინტეგრაცია მუნიციპალური განვითარების პრიორიტეტებში კახეთის მაგალითზე" განსახორციელებლად. პროექტის ხანგრძლივობა განისაზღვრა 2015 წლის 23 იანვრიდან 2016 წლის 28 თებერვლამდე. (UNDP-EU)

2017 წლის 31 იანვარს საგრანტო ხელშეკრულება გაფორმდა CSRDG-სა და ASB/Se-ს შორის პროექტის ,,გზა საზოგადოებისკენ დასაბრუნებლად" განსახორციელებლად. პროექტის განხორციელების პერიოდია 2017 წლის 01 იანვრიდან 2020 წლის 01 თებერვლამდე. მთლიანი საგრანტო თანხა შეადგენს 245, 530 ევროს. (დაფ. წყარო ევროკავშირი (ASB-EU))

2015 წლის 01 ნოემბერს გაფორმდა საგრანტო ხელშეკრულება CSRDG-სა და ASB-Georgia-ს შორის პროექტის „საზოგადოებრივი ორგანიზაციების შესაძლებლობების გაძლიერება სოციალური სერვისების პოლიტიკის დიალოგში წვლილის შეტანისთვის საქართველოსა და უკრაინაში" განსახორციელებლად. საგრანტო პერიოდია 2015 წლის 01 მარტიდან 2018 წლის 01 მარტამდე. მთლიანმა საგრანტო თანხამ შეადგინა 133,985 ევრო (დაფ. წყარო ევროკავშირი (ASB-EU))

2017 წლის 13 იანვარს CSRDG-მ გააფორმა საგრანტო ხელშეკრულება KAS(BMZ)-თან პროექტის "საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ინიციატივა" განსახორციელებლად. მთლიანი საგრანტო თანხა შეადგენს 473,549 ევროს (დაფ. წყარო (KAS-BMZ).

2016 წლის 21 აპრილს CSRDG-სა და აშშ-ის საერთამორისო განვითარების სააგენტო (USAID)-ს შორის გაფორმდა საგრანტო ხელშეკრულება No.Aid-114-A-16-00006 პროექტის ,,მოქალაქეები ღია და ეფექტური ადგილობრივი მმართველობისთვის" განსახორციელებლად. საგრანტო პერიოდია 2016 წლის 21 აპრილიდან 2017 წლის 20 აპრილამდე, ხოლო საგრანტო თანხა შეადგენს 153,995 აშშ დოლარს. (USAID)

2016 წლის 9 მარტს People In Need (PIN)-სა და CSRDG-ს შორის გაფორმდა საგრანტო ხელშეკრულება პროექტის ,,სოციალური დაცვის საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართულობის გაძლიერება სტრატეგიულ დიალოგში საქართველოში" განსახორციელებლად. საგრანტო პერიოდია 2016 წლის 01 მარტიდან 2018 წლის 14 მაისამდე, ხოლო მთლიანი გრანტის ოდენობაა 75,625 ევრო. (PIN)

2017 წლის 12 ივნისს გაფორმდა საგრანტო ხელშეკრულება CSRDG-სა და ელკანას შორის პროექტი "საქართველოს ტურიზმის სექტორში ჩართული ღარიბი თემების და მიკრომეწარმეების გაძლიერება"-ის განსახორციელებლად. საგრანტო თანხა შეადგენს 95,875 ლარს. (ელკანა - დაფ. წყარო მსოფლიო ბანკი)

2017 წლის 03 ნოემბერს გაფორმდა საგრანტო ხელშეკრულება CSRDG-სა და FES-ს შორის პროექტის "ფორუმი "კსპ და შრომითი საკითხები" და მასტერკლასი "როგორ უნდა იყო პასუხისმგებლობის მქონე დამსაქმებელი " განსახორციელებლად. საგრანტო თანხა გაინისაზღვრა 15,000 ლარით, ხოლო საგრანტო პერიოდია 2017 წლის 21 ნოემბრიდან 2017 წლის 06 დეკემბრამდე. (FES)

2017 წლის 24 ივლისს გაფორმდა საგრანტო ხელშეკრულება CSRDG-სა და BPB-ს შორის პროექტის ,,სამოქალაქო ჩართულობა ერთ კადრში" განსახორციელებლად. საგრანტო თანხამ შეადგინა 5,990 ევრო, ხოლო საგრანტო პერიოდია 2017 წლის 24 ივლისიდან 2017 წლის 30 ნოემბრამდე. (BPB)

2017 წლის 24 ივლისს გაფორმდა საგრანტო ხელშეკრულება CSRDG-სა და BPB-ს შორის პროექტის ,,კრიტიკული აზროვნება ციფრულ სამყაროში." განსახორციელებლად. გრანტის ოდენობა განისაზღვრა 7,690 ევროთი, ხოლო საგრანტო პერიოდია 2017 წლის 24 ივლისიდან 2017 წლის 30 ნოემბრამდე. (BPB)

2016 წლის 19 ივლისს ხელი მოეწერა საგრანტო ხელშეკრულებას CSRDG-სა და სამოქალაქო განათლების ფედერალურ სააგენტოს შორის პროექტის „ეკოცნობიერების ჩამოყალიბების ხელშეწყობა ახალგაზრდებში უნარჩენო საქართველოსთვის" განსახორციელებლად.

პროექტის განხორციელების პერიოდია 2016 წლის 20 ივლისიდან და 2016 წლის 30 ნოემბერამდე. მთლიანი საგრანტო ხელშეკრულების ღირებულებაა 5,000 ევრო.

2016 წლის 02 აგვისტოს ღია საზოგადოება საქართველომ (OSGF) CSRDG-ს გადასცა გრანტი # LL/10/16-20335 პროექტის "არჩევნები და საჯარო ფინანსების მართვა" განსახორციელებლად. მთლიანმა საგრანტო თანხამ შეადგინას 9,598 აშშ დოლარი, ხოლო პროექტის ხანგრძლივობაა 2016 წლის 02 აგვისტოდან 2016 წლის 02 დეკემბრამდე. (OSGF)

2015 წლის 01 ოქტომბერს ხელი მოეწერა საგრანტო ხელშეკრულებას 4000 აშშ დოლარის ოდენობით CSRDG-სა და ფონდ ბმვ-ს შორის, რომლის მიხედვითაც მხარეები თანხმდებიან 2015 წელს საქართველოში პრო-ბონო ქსელის პრეზენტაციაზე. (BMW)

2017 წლის 21 ოქტომბერს ხელი მოეწერა საგრანტო ხელშეკრულებას N FG_057 ფონდ სიცოცხლის ხესა (TL) და CSRDG-ს შორის. გრანტის მიზანს წარმოადგენს სოციალური მეწარმეობის მხარდასაჭერი აქტივობების განხორციელება, სოციალური საწარმოების B2B გამოფენის მოწყობა. მთლიანი საგრანტო თანხა შეადგენს 2,000 ლარს. (ფონდი სიცოცხლის ხე)

2014 წლის 01 მარტს ხელშეკრულება # GE1 გაფორმდა საქართველოს ხელოვნების საერთაშორისო ცენტრსა და CSRDG-ს შორის პროექტის „ხელოვნების პლატფორმა მოქმედებაში - სექტორის ეკონომიკური შესაძლებლობის გაძლიერება საქართველოსთვის" განსახორციელებლად. ხელშეკრულების მიხედვით საქართველოს ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი გადაუხდის 148,672 ევროს ევროკომისიიდან მიღებული თანხიდან, ამავე დროს სსკგც იღებს ვალდებულებას მოიპოვოს თანადაფინანსება 18,418 ევროს ოდენობით. (GACC)

2015 წლის 01 სექტემბერს გაფორმდა პარტნიორობის ხელშეკრულება CSRDG-სა და Pontis Foundation-ს შორის პროექტის ,, სამოქალაქო საზოგადოების მდგრადობისა და ჩართულობის გაძლიერება აღმოსავლეთ პარტნიორობისა და ვიშეგრადის რეგიონში კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის განვითარებით" განსახორციელებლად. პროექტის ხანგრძლივობაა 2015 წლის 01 სექტემბრიდან 2017 წლის 02 თებერვლამდე, ხოლო გრანტის მთლიანმა თანხამ შეადგინა 21,100 ევრო. (Pontis)

2013 წლის 29 ოქტომბერს ევრაზიის თანამშრომლობის ფონდმა გადასცა გრანტი # DCI-NSAPVD/2013/286-259 სსკგც-ს. დაფინანსებული პროექტია - "გამჭირვალე დაახლოვება ევროკავშირის პოლიტიკებთან სანიტარულ საკითხებზე"; საქართველოს და მოლდოვას ქეისები. ხელშეკრულების პერიოდია 2013 წლის 1 ნოემბრიდან 2016 წლის 30 სექტემბრამდე. გრანტის მთლიანი ოდენობა შეადგენს 125,380 ევროს. (EPF)

2016 წლის 25 სექტემბერს სათემო განვითარების ჟურნალმა (CDJ) გადასცა გრანტი CSRDG-ს 2,250 ფუნტი სტერლინგის ოდენობით, რომ დაეფინანსებინა 2016 წლის 20 და 21 ოქტომბერს გასამართი კონფერენციის ,,Community Leaders Forum"-ის ხარჯები. (CDJ)

2016 წლის 29 აპრილს CSRDG-სა და ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტოების ასოციაციას (ALDA) შორის გაფორმდა საგრანტო ხელშეკრულება 2,000 ევროს ოდენობით პროექტის "საჯარო ადმინისტრირებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმების განახლება" განსახორციელებლად. საგრანტო პერიოდია 2016 წლის 01 მაისიდან 2016 წლის 30 ნოემბრამდე. (ALDA)

2015 წლის 19 ივნისს, პრეზიდენტის ფონდიდან დაფინანსდა პროექტი ,,ტრადიციული რეწვის ახალი შესაძლებლობები მთიანი სოფლებისათვის". მთლიანი პროექტის ღირებულებაა 51,406 ლარი, საიდანაც 38,956 ლარი დაფინანსდა ფონდის მიერ. პროექტის ხანგრძლივობა განისაზღვრა 6 თვით. (პრეზიდენტის ფონდი)

2017 წლის 06 ივნისს გაფორმდა საგრანტო ხელშეკრულება UNOP-სა და CSRDG-ს შორის პროექტის "ადგილობრივი თემების მხარდაჭერა და შესაძლებლობების გაზრდა ტერიტორიების კონსერვაციის საქმეში " განსახორციელებლად. საგრანტო თანხამ შეადგინა 50,000 აშშ დოლარი, ხოლო საგრანტო პერიოდია 2017 წლის 13 ნოემბრიდან 2019 წლის 12 ნოემბრამდე. (UNOP)

შენიშვნა 2: სააღრიცხვო პოლიტიკა

(ა) ფინანსური ანგარიშგების წარდგენის საფუძვლები

ორგანიზაციის სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისად, წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადდა დარიცხვის პრინციპის და ისტორიული ღირებულების პრინციპების გამოყენებით.

პირვანდელი ღირებულების პრინციპის მიხედვით აქტივების აღრიცხვა ხდება მათი შეძენის დროს გადახდილი ფულადი სახსრების ან მათი ეკვივალენტების ოდენობით, ან იმ რეალური ღირებულებით, რომელიც უნდა გადახდილიყო მათი შეძენის მომენტში. ვალდებულებები აღირიცხება იმ აქტივის თანხის სიდიდით, რომელიც მიღებულია მოცემული ვალდებულების სანაცვლოდ; ზოგიერთ შემთხვევაში კი იმ თანხით, რომლის ორგანიზაციიდან გასვლა მოსალოდნელია ამ ვალდებულების დასაფარავად ორგანიზაციის ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში.

დარიცხვის მეთოდის თანახმად, სამეურნეო ოპერაციების შედეგებისა და სხვა მოვლენების აღიარება ხდება მათი მოხდენისთანავე (და არა ფულადი სახსრებისა და მისი ეკვივალენტების მიღებისა და გადახდის დროს). ამასთან ისინი ტარდება სათანადო ბუღალტრულ დოკუმენტებში და აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, რომელსაც განეკუთვნება.

(ბ) შეფასებების გამოყენება

ფინანსური ანგარიშგების მომზადება მოითხოვს შეფასებების გაკეთებას, რომლებიც გავლენას ახდენენ ანგარიშგებაში წარმოდგენილი აქტივებისა და ვალდებულებების თანხებზე, შესრულებული ოპერაციების შედეგად წარმოქმნილი ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის არსებული პირობითი აქტივებისა და ვალდებულებების მოცულობაზე და საანგარიშო პერიოდში წარმოდგენილი შემოსავლებისა და ხარჯების თანხებზე. მიუხედავად იმისა, რომ ეს მაჩვენებლები ეყრდნობა მენეჯმენტის მხრიდან არსებული მოვლენებისა და ქმედებების ცოდნას, ფაქტობრივი შედეგები შესაძლოა საბოლოო ჯამში განსხვადებოდეს ამ შეფასებებისაგან.

(გ) ფინანსური ანგარიშგების საოპერაციო და საანგარიშგებო ვალუტა

ორგანიზაციის საოპერაციო და სააღრიცხვო ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი. თუმცა, ზოგიერთი გრანტი დონორისგან მიღებულია ევროში ან დოლარში და ზოგიერთი ფინანსური რეპორტი დონორთან წარდგენილია ევროში და დოლარში, თუმცა ანგარიშგება მზადდება ლარებში. ძირითადი ოპერაციები სრულდება ქართულ ლარებში.

(დ) უცხოური ვალუტის გადაფასება

უცხოურ ვალუტაში გამოსახული გარიგებები აღირიცხება იმ გაცვლითი კურსის შესაბამისად, რომელიც არსებობს ოპერაციის თარიღისათვის. უცხოურ ვალუტაში გამოსახული გარიგების განხორციელების შედეგად წარმოქმნილი გაცვლითი კურსის სხვაობები აისახება საქმიანობის შედეგების ანგარიშგებაში იმ დღისათვის არსებული გაცვლითი კურსის შესაბამისად.

უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია ქართულ ლარებში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისათვის გამოცხადებული ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. 2017 და 2016 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლებისათვის უცხოური ვალუტის ნაშთების ლარებში გადაყვანისათვის გამოყენებული ძირითადი განაკვეთი იყო:

	დეკემბერი 31, 2017	**დეკემბერი 31, 2016**
ლარი / 1 აშშ დოლარი	2.5922	2.6468
ლარი / 1 ევრო	3.1044	2.7940
ლარი / 1 ფუნტი	3.5005	3.2579

(ე) საგრანტო შემოსავალი და გადავადებული გრანტი

ორგანიზაცია დონორისგან მისაღებ, ხელშეკრულებით განსაზღვრულ თანხებს აღრიცხავს როგორც გადავადებულ გრანტს. ხოლო პროგრამის შესაბამისი დანახარჯების გაწევის და მათი აღიარების შემდეგ, შესაბამისი თანხით მცირდება გადავადებული გრანტის ოდენობა და ხდება ამ თანხის შემოსავლად აღიარება.

შენიშვნა 2: საღრიცხვო პოლიტიკა *(გაგრძელება)*

(ვ) ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები შედგება სალაროში არსებული ნაღდი ფულისაგან და ბანკში არსებული ფულადი სახსრებისგან.

(ზ) გადასახადები

სსკგც, როგორც არასამთავრობო, არაკომერციული ორგანიზაცია, იხდის შემდეგ გადასახადებს:

საშემოსავლო გადასახადი (20%). აღნიშნული გადასახადი გადაიხდება მთლიანი ხელფასიდან და მასთან დაკავშირებული შეღავათებიდან, რომლებიც თანამშრომლებზე გაიცემა საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. აღნიშნული გადასახადი ხარჯების ანგარიშგებაში შედის, როგორც ხელფასის შემადგენელი ნაწილი და მასთან დაკავშირებული შეღავათები.

დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ) (2005 წლის 30 ივნისიდან 18%). ორგანიზაცია რეგისტრირებულია საგადასახადო ორგანოში როგორც დღგ–ს გადამხდელი.

(თ) ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები მოცემულია ისტორიული ღირებულებით მინუს ცვეთა. ისტორიული ღირებულება მოიცავს აქტივის შეძენასთან პირდაპირ დაკავშირებულ დანახარჯებს. ძირითადი საშუალებების ცვეთა გამოითვლება შემცირებადი ნაშთის მეთოდით მთელი სასარგებლო მომსამსხურების ვადის განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადები განისაზღვრება შემდეგნაირად:

აქტივების ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა
შენობა-ნაგებობები	30 წელი
ოფისის აღჭურვილობა	5-10 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	5-10 წელი

ძირითადი საშუალებების გაყიდვა/ჩამოწერასთან დაკავშირებული მოგება ან ზარალი დგინდება ნარჩენ ღირებულებაზე დაყრდნობით და გაითვალისწინება მიმდინარე მოგების განსაზღვრისას. ძირითადი საშუალებების მომსახურების ხარჯები ასახულია მოგება ზარალის-ანგარიშგებაში, ხარჯების გაწევის მომენტში.

(ი) წმინდა აქტივების კლასიფიკაცია

წმინდა აქტივები შედგება შეუზღუდავი წმინდა აქტივებისა და დროებით შეზღუდული წმინდა აქტივებისაგან:

შეუზღუდავი წმინდა აქტივები – წარმოადგენს ორგანიზაციის ფონდების იმ შემოსავლებს და დონორისგან მიღებულ იმ შენატანებს, რომლებზეც არ ვრცელდება დონორის შეზღუდვები. ეს წმინდა აქტივები ორგანიზაციისთვის ხელმისაწვდომია საოპერაციო მიზნებისათვის.

დროებით შეზღუდული წმინდა აქტივები – წარმოადგენს ორგანიზაციის ფონდების იმ ნაწილს, რომელიც შექმნილია აქტივების შენატანებით და სხვა წყაროებით, რომელთა გამოყენება ორგანიზაციას განსაზღვრული აქვს დონორის მიერ დაწესებული შეზღუდვებით, რომელიც არ იწურება დროთა განმავლობაში, ასევე ორგანიზაციის მიერ არ შეიძლება სხვაგვარად შესრულდეს ან გაუქმდეს;

(კ) შემოსავალი

შეუზღუდავი და დროებით შეზღუდული ფონდები აღიარდება როგორც შემოსავალი, როდესაც მოხდება დონორთან ხელშეკრულების გაფორმება. შეზღუდული ფონდები აღიარდება როგორც გადავადებული შემოსავალი იმდენად, რამდენადაც მოხდება ფაქტიური დანახარჯების გაწევა და დონორის მიერ დაწესებული დროითი ლიმიტების გათვალისწინება. სხვაობა შეზღუდულ მიღებულ ფონდებსა და გაწეულ დანახარჯებს შორის აღიარდება, როგორც შეზღუდული წმინდა აქტივი თანდართულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

შენიშვნა 2: სააღრიცხვო პოლიტიკა *(გაგრძელება)*

(ლ) გაცემული ქვეგრანტები

გაცემული ქვეგრანტები გაცემისთანავე აღიარდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში როგორც ორგანიზაციის მიერ ქვეგრანტორებზე გაცემული ავანსი.

ქვეგრანტორების მიერ გაწეული ხარჯებისა და შესრულებული სამუშაოების დამადასტურებელი დოკუმენტების ორგანიზაციისადმი წარდგენისას გაცემული ქვეგრანტები გადაიხურება შესრულებული სამუშაოების და მიღებული დოკუმენტაციის პროპორციული თანხებით საქმიანობის შედეგების ანგარიშგებაში.

შენიშვნა 3: ფული და ფულის ეკვივალენტები

	2017 წელი	2016 წელი
ნაღდი ფული სალაროში (ლარი)	942	118
ფული ბანკში (ლარი)	578,583	48,967
ფული ბანკში (სხვა ვალუტა)	315,006	323,966
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	**894,531**	**373,051**

შენიშვნა 4: მისაღები გრანტები

	2017 წელი	2016 წელი
ევროკავშირი (EU)	3,390,351	1,122,878
პური მსოფლიოსათვის (BFW)	1,538,727	12,182
გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP)	1,330,388	-
არბაითერ - სამარიტერ - ბუნდი საქართველო (ASB -წყარო ევროკავშირი)	654,728	109,637
ფიფლ ინ ნიდ (PIN -წყარო ევროკავშირი)	75,936	116,767
გაერო - UNOP	64,805	-
გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP)	38,883	223,434
ელკანა (წყარო - მსოფლიო ბანკი)	23,971	-
Bundeszentrale fur Politische Bildung (BPB)	2,017	1,624
აშშ-ს საერთაშორისო განვითარების საგენტო (USAID)	-	136,623
ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი / ევროპის ფონდი (EPF/Europe Foundation))	-	34,075
ფონდი პონტისი (PONTIS)	-	11,791
ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტოების ასოციაცია (ALDA)	-	2,794
ფონდი ბმვ (BMW)	-	1,396
სულ მისაღები გრანტები	**7,119,806**	**1,773,201**

შენიშვნა 5: საგადასახადო აქტივები

	2017 წელი	2016 წელი
დღგ	30,147	12,550
მოგების გადასახადი	13,315	13,314
სულ საგადასახადო აქტივები	**43,462**	**25,864**

შენიშვნა 6: ქვე-გრანტიორებისთვის გადახდილი ავანსები

	2017 წელი	2016 წელი
განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრი	54,484	25,499
ქვემოქართლის ეთნოშორისი ერთობა	8,240	-
აი კუბი	8,100	-
რეგიონალური ინიციატივების ცენტრი „ნათელი მომავალი"	7,170	-
დემოკრატიული გაძლიერების ცენტრი	6,764	-
ადამიანის უფლებების ადვოკატირების და დემოკრატიის ფონდი	6,218	-
ახალგაზრდა მკვლევართა და ანალიტიკოსთა გაერთიანება	5,984	-
საზოგადოება ბილიკი	5,030	-
გურიის მედიატორთა ასოციაცია	4,000	-
სკრის ასოციაცია ბეთლემი	3,500	-
სამოქალაქო განვითარების ახალგაზრდული ცენტრი	1,260	-
ნეოგილების კლუბი	1,005	-
ფიზიკურ პირებზე გაცემული გრანტები	800	9,281
საქ.ახალგაზრდული ორგანიზაცია ცვლილებების თანაბარი უფლებებისთვის	783	-
ადამიანი მოქმედებაში	300	-
საქართველოს სამოქალაქო განვითარების ასოციაცია	-	54,215
ასოციაცია ათინათი	-	44,994
არბაითერ - სამარიტერ - ბუნდი საქართველო (ASB)	-	7,629
სათემო კავშირი აისი	-	1,190
სათემო ორგანიზაცია ნაფარეული	-	1,180
ორგანიზაცია სათემო კავშირი ჰერეთი	-	840
სათემო განვითარების ცენტრი კისკისა	-	545
ინიციატივების სახლი	-	435
სულ ქვე-გრანტიორებისთვის გადახდილი ავანსები	**113,636**	**145,808**

შენიშვნა 7. ძირითადი საშუალებები

	შენობა-ნაგებობები	ოფისის აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
ნაშთი 01 იანვარი 2016	**130,147**	**14,099**	**23,611**	**167,857**
შეძენები	-	42,458	30,975	**73,433**
პერიოდის ცვეთა	(1,007)	(2,117)	(10,292)	**(13,415)**
სხვა	(5,674)	-	14,747	**9,073**
ნაშთი 31 დეკემბერი 2016	**123,466**	**54,440**	**59,041**	**236,948**
შეძენები	-	85,555	62,400	**147,955**
გასვლები	-	-	(5,793)	**(5,793)**
პერიოდის ცვეთა	(4,116)	(29,267)	(16,985)	**(50,368)**
ნაშთი 31 დეკემბერი 2017	**119,350**	**110,729**	**98,663**	**328,742**

შენიშვნა 8: საგადასახადო ვალდებულებები

	2017 წელი	2016 წელი
საშემოსავლო გადასახადი	304	265
ქონების გადასახადი	176	176
სულ	**480**	**441**

შენიშვნა 9: გადავადებული შემოსავალი

	2017 წელი	2016 წელი
ევროკავშირი (EU)	4,125,547	1,466,845
პური მსოფლიოსათვის (BFW)	1,734,677	-
კონრად ადენაუერის ფონდი (KAS - წყარო BMZ)	1,337,765	-
არბაითერ - სამარიტერ - ბუნდი საქართველო (ASB - წყარო ევროკავშირი)	686,258	175,203
გაერო (UNOP)	129,600	-
პრეზიდენტის ფონდი	76,481	121,322
გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP)	71,947	363,947
ელკანა (წყარო მსოფლიო ბანკი)	49,518	-
ფრიდრიხ ებერტის ფონდი საქართველოში (FES-Georgia)	1,722	1,722
აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID)	-	147,717
ღია საზოგადოება საქართველო (OSGF)	-	6,488
ფონდი ბმვ (BMW)	-	3,608
სულ გადავადებული საგრანტო შემოსავალი	**8,213,515**	**2,286,852**

შენიშვნა 10: გაცემული გრანტები

2016 და 2017 წლებში სსკგც-მა გასცა გრანტი სხვადასხვა ორგანიზაციებზე პროექტის ,, სოციალური მეწარმეობა-ინოვაციური მიდგომა ეკონომიკური და სოციალური ცვლილებებისთვის" ფარგლებში, რომელიც დაფინანსებული იყო ევროკავშირის (EU) მიერ. საგრანტო ხელშეკრულება სსკგც-სა და ევროკავშირს (SE/EU) შორის გაფორმდა 2016 წლის 01 თებერვალს.

2016 და 2017 წლებში სსკგც-მა გასცა გრანტი სხვადასხვა ორგანიზაციებზე პროექტის ,,ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ზეგავლენა ქართველ მომხმარებლებზე და მათი ცნობიერების ამაღლება" ფარგლებში, რომელიც დაფინანსებული იყო ევროკავშირის (EU) მიერ. საგრანტო ხელშეკრულება გაფორმდა 2014 წლის 21 ოქტომბერს.

2017 წელს სსკგც-მა მისცა გრანტები სხვადასხვა ფიზიკურ პირსა და ორგანიზაციას პროექტის - ,,ქალთა გაძლიერება ცვლილებისათვის" ფარგლებში, რომელიც დაფინანსდა UNDP-ის მიერ (UNDP). საგრანტო ხელშეკრულება UNDP-სა და სსკგც-ს შორის ხელშეკრულება გაფორმდა 2016 წლის 17 ნოემბერს.

2016 წელს სსკგც-მა მისცა გრანტები სხვადასხვა ფიზიკურ პირსა და ორგანიზაციას პროექტის ,,გენდერული თანასწორობის ხელშეწყობისათვის საქართველოში" ფარგლებში, რომელიც დაფინანსდა UNDP-ის მიერ (UNDP V). UNDP-სა და სსკგც-ს შორის ხელშეკრულება გაფორმდა 2015 წლის 18 დეკემბერს.

2017 წელს სსკგც-მა მისცა გრანტები სხვადასხვა ფიზიკურ პირსა და ორგანიზაციას პროექტის – ,, სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის ხელშეწყობა, ადგილობრივი თანამშრომლობის განსაზღვრა და პოლიტიკური გავლენა, გაგრძელება. ძირითადი პროგრამა 2017-2020", რომელიც დაფინანსდა BFW-ს მიერ. საგრანტო ხელშეკრულება სსკგც-სა და BFW-ს შორის გაფორმდა 2017 წლის 28 თებერვალს.

შენიშვნა 10: გაცემული გრანტები *(გაგრძელება)*

2016 წელს სსკგც-მა გასცა მიკროგრანტები სხვადასხვა ფიზიკურ პირებსა და ორგანიზაციებზე 3 წლიანი პროექტი „სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერება (2014-2016)"-ის ფარგლებში რომელიც დაფინანსდა BFW-ის მიერ. სსკგც-სა და BFW-ს შორის ხელშეკრულებას ხელი მოეწერა 2013 წლის 28 დეკემბერს.

2017 წელს სსკგც-მა გასცა გრანტი ,,სოციალურ საწარმოთა ალიანსი"-ზე. პროექტი დაფინანსებული იყო სსკგც-ის საკუთარი ფონდებით.

2016 წელს სსკგც-მა გასცა გრანტები სხვადასხვა ფიზიკურ პირებსა და ორგანიზაციებზე პროექტი „ხელოვნების პლატფორმა მოქმედებაში - სექტორის ეკონომიკური შესაძლებლობის გაძლიერება საქართველოსთვის"-ის ფარგლებში, რომელიც დაფინანსდა „საქართველოს ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი"-ს (GACC) მიერ. ხელშეკრულება „საქართველოს ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი"-სა და სსკგც შორის გაფორმდა 2014 წლის 1 მარტს.

გაცემული გრანტები დონორის დაფინანსების წყაროს მითითებით მოცემულია ქვემორე ცხრილში:

	2017 წელი	2016 წელი
ევროკავშირი	298,180	206,863
გაეროს განვითარების პროგრამა	188,260	154,393
პური მსოფლიოსათვის	79,179	123,030
საკუთარი ფონდები	1,000	-
საქართველოს ხელოვნებისა და კულტურის ცენტრი	-	5,515
სულ გაცემული გრანტები	**566,619**	**489,801**

შენიშვნა 11: გადავადებულ გრანტებში მოძრაობა

	2017 წელი	2016 წელი
გადავადებული გრანტი საწყისი	2,286,852	1,577,567
პლიუს: პერიოდის განმავლობაში გაფორმებული საგრანტო კონტრაქტები	8,492,667	2,713,624
მინუს: პერიოდის შემოსავლებში გადატანილი გადავადებული გრანტი	(2,566,004)	(2,004,339)
გადავადებული გრანტი საბოლოო	**8,213,515**	**2,286,852**

შენიშვნა 12: ანარიცხები და პირობითი ვალდებულებები

სასამართლო საქმეების წარმოება

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის ორგანიზაცია არ იყო ჩართული სამართალწარმოებაში.

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობაში არის არაერთმნიშვნელოვანი დებულებები, რომლებიც ტოვებს მათი სხვადასხვაგვარი ინტერპრეტირების შესაძლებლობას. კანონმდებლობის მოთხოვნების მენეჯმენტის მიერ მიღებული ინტერპრეტაცია, რომელიც გამოიყენება ორგანიზაციის ტრანზაქციებისა და საქმიანობის აღრიცხვისა და მართვისათვის შეიძლება ეჭვის ქვეშ დადგეს ან არასწორად იქნეს მიჩნეული რეგიონალური და ცენტრალური მარეგულირებელი ორგანოების მიერ. დასაშვებია, რომ საგადასახადო ორგანოები უფრო ხისტად დაიცავენ კანონმდებლობის მოთხოვნების საკუთარ ინტერპრეტაციას. შედეგად, შესაძლოა დარიცხულ იქნას მნიშვნელოვანი დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და პროცენტები.

შენიშვნა 12: ანარიცხები და პირობითი ვალდებულებები *(გაგრძელება)*

საოპერაციო გარემო

ბოლო წლების განმავლობაში, საქართველომ განიცადა სერიოზული პოლიტიკური და ეკონომიკური ცვლილებები. როგორც განვითარებადი ბაზრის საქართველოს არ გააჩნია კარგად განვითარებული კომერციული ინფრასტრუქტურა, რომელიც ზოგადად უფრო განვითარებულ ბიზნეს ბაზარზე არსებობს. კანონები და რეგულაციები, რომლებიც გავლენას ახდენენ ქვეყანაში მოქმედ ბიზნესებზე ექვემდებარება სწრაფ ცვლილებას. გარდა ამისა, ეკონომიკური სტაბილურობის გაგრძელება დამოკიდებულია მეტწილად მთავრობის მიერ მიღებულ ფისკალურ ზომების ეფექტურობაზე, საერთაშორისო საკრედიტო ორგანიზაციების გადაწყვეტილებებზე და ორგანიზაციის კონტროლს მიღმა სხვა ქმედებებზე.

- დოკუმენტის დასასრული -